რედაქცია:
ფრეილინის ქუჩა, № 13.
ტფილისი
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართევნ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხ. გამავრცელ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა.

გაზეთის ფასი: ერთის წლით 6 მან., :ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13.
Редакція „Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363

## მიიღება ხელის მოწერა დამდეგის 1897 წლისათვის

ვინც ამ თავითვე წლიურად გამოიწერს, მას გაზეთი იანვრამდე მუქთად მიუვა. მიუვა აგრეთვე მუქთად საქართველოს კალენდარი 1897 წლისა

**წლიური ფასი ექვსი მანათი.**

## „ივერია“

გამოვა 1897 წელს

იმავე პროგრამმით, როგორც წინად.

გამოვა მხოლოდ 17 იანვრიდამ, ყოველ დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს გვირა-უქმეებს.

ფასი გაზეთისა:

| | მ. | კ. | | მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 11 თვით და 13 დღით — | 9 | 60 | 6 „ — — — — | 6 | „ |
| 11 „ — — — — | 9 | 50 | 5 „ — — — | 5 | 50 |
| 10 „ — — — — | 8 | 75 | 4 „ — — — | 4 | 75 |
| 9 „ — — — — | 8 | „ | 3 „ — — — — | 3 | 50 |
| 8 „ — — — — | 7 | 25 | 2 „ — — — — | 2 | 75 |
| 7 „ — — — — | 6 | 50 | 1 „ — — — — | 1 | 50 |

საზღვარ-გარეთ დაბარებული 1898 წლის 1 იანვრამდე ეღირება 17 მ.

ტფილისს გარეთ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Редакція „Иверія“.

ტფილისში ხელის-მოწერა მიიღება „ივერიის“ რედაქციაში, ნიკოლოზის ქუჩა, № 21. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, ქართვ. თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვლას ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდამ სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარედვე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდამ, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს.

### 1896 წლის ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.

ვისაც გაზეთი დაბარებული ჰქონდა 1896 წელს მთელის წლით, თუ ჰსურთ 1898 წლის პირველ იანვრამდე მიიღონ გაზეთი, უნდა წარმოადგინონ ოთხი თვის ფასი—3 მან. და 33 კაპ. (კაპეიკების მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკები გამოიგზავნოს). ხოლო ვისაც არა ჰსურს, იმას მიუვა გაზეთი ოთხის თვისა და ცამეტის დღის განმავლობაში 17 იანვრიდამ.

ვისაც 1896 წელში დაბარებული ჰქონდა გაზეთი რამდენისამე თვით, იმათ შეუსრულდებათ დანაკლისი ნომრები 17 იანვრიდამ.

---

სარედაქციო მუშაობა 15ა. დეკემბრიდან დაიწყებ

---

**კნეინა ოლღა თადეოზის ასული ჰავჰავაძისა** სთხოვს იმ პირთ, რომელთაც მისგან აქვთ მიღებული „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ ყულაბები, წარმოუდგინონ მას ეს ყულაბები წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში შაბათს, 14 ქრისტეშობისთვეს, დილის 11 საათიდან 12 საათამდე.

(3—2)

---

ქ. ქუთაისი.

ქართული თეატრი

1896 წ. კვირას, 15 დეკემბერს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ჩერქეზიშვილისა და კ. ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება:

I

ცხოვრების თანამოგზაური

დრ. 4 მოქმედ. 5 სურ. ა. ყაზბეგისა.

II

### უბედური დღე

ვოდ. 1 მოქ. ვ. ბალანჩივაძესი

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ჩერქეზიშვილისა, ჩხეიძისა, ივანიძისა და სხვ. ბბ. ყიფიანი, მარჯანიშვილი, ბალანჩივაძე, ნემო, აბულაძე, გიორგაძე და სხვა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი.

ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი.

---

**გამგეობა ქალთა ამხანაგობისა** ამით აცხადებს, რომ კვირას, 15 დეკემბერს, საღამოს 6 საათზედ, სამეურნეო საზოგადოების დარბაზში დანიშნულია ქალთა ამხანაგობის საზოგადო კრება განსახილველად შემდეგის საგნებისა:

1. მოხსენება გამგეობისა შესახებ სამკერვალო სასწავლებლის გახსნისა.
2. მოხსენება ხაზინადარისა შესახებ შემოსავალ-გასავლის ანგარიშისა.
3. მოხსენება სარევიზიო კომისიისა შესახებ კასსის მდგომარეობისა.
4. ამორჩევა გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრებისა.

ეს კრება დანიშნულია ნაცვლად იმ კრებისა, რომელიც 5 დეკემბერს წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო არ შესდგა და ამიტომ ეს კრება კანონიერი იქნება, რამდენიც უნდა დაესწროს წევრი.

(5—2)

---

## სამკურნალო და ამბულატორია ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.**

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. კ. გერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

ამკურნალოს დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

(წ.)

---

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—2 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. პუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ა. გ. ბურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ა. გ. ბურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ).

---

Вышла изъ печати и продается новая книга:

## ЭСКИЗЫ И ЭТЮДЫ

Ил. Хонели (И. Л. Бахтадзе).

Содержаніе: Отъ автора.—„Доглаура“.—Быль—Какъ „въ старину живали дѣды“.— Князь-отщепенецъ. — Рамхотъ.—Горе Исаіи.—Въ мірѣ фантазіи.—Легенда о Гандегили. — Амцуха-леки.— Смерть.—Сновидецъ.—Дервишъ.—Имеретинскій катеръ.—На цѣпи.—Кулисъ-карскій кюре.—Спасенная святыня.

**ЦѢНА 1 РУБЛЬ.**

Съ требованіями обращаться: въ контору редакціи „Кавказа“, въ канцелярію „Общества распространенія грамотности среди грузинъ“, а также въ книжный магазинъ г. Бѣгичева.

Въ Кутаисѣ изданіе продается въ книжныхъ магазинахъ гг. Чиладзе и Церетели.

Печатается и скоро выйдетъ въ свѣтъ брошюра того-же автора: „Къ 100-лѣтію Крцанисской битвы“.

Содержаніе:—Къ 100-лѣтію Крцанисской битвы—Знамя Азатъ-Хана.—Герой Аспиндзи предъ судомъ „Хечагога“.

**ЦѢНА 30 КОП.**

# დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.

(„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“).

11 დეკემბერი

**რომი.** სენატმა შეიწყნარა იტალიის ხელშეკრულობა ტუნისთან.

**სტამბოლი.** 10 დეკემბერს გამოცხადდა სულთანის ირადე, რომლის ძლითაც ყველა დაპატიმრებული სომხები განთავისუფლებულ იქნებიან. პატიება არ ეხება მხოლოდ 84 კაცს, რომელთაც სიკვდილით დასჯა აქვთ გადაწყვეტილი. სიკვდილით დასჯა ამათ დაპატიმრებად შეეცვალად. მათ შორის არიან ბიტლისისა და ჰასკოის ეპისკოპოსნი, რომლებიც იერუსალიმს მონასტერში იქმნებიან გაგზავნილნი.

**ბელგრადი.** ამბობენ, შესაძლებელია სამინისტროს კრიზისი მოხდესო. ნაპრედნიკების კლუბებში ძლიერ გახშირდა მთავრობის წინააღმდეგ ლაპარაკი.

**სოფია.** სტამბულოვის მოკვლის საქმეს არჩევს ექვსი კაცი: სამი სახელმწიფო და სამი ნაფიცი მსაჯული. ბრალდებული სამია. ამათში ტიუფეკჩევი აქამდე თავისუფლად იყო, ეხლა-კი დაპატიმრებულია. ბრალდებულთ თავიანთი თავი დამნაშავედ არ აღიარეს. ტიუფეკჩევმა სთქვა: სტამბულოვის მოკვლაში არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის, მაგრამ, სადმე რომ შემხვედროდა, მოვკლავდი, რადგანაც იგი მტარვალი იყო და ჩემი ძმა დაღუპაო. მოწმეთა ჩვენებიდგან ახალი არაფერი გამორკვეულარა. პეტკოვი ამტკიცებს: სტამბულოვი დარწმუნებულ იყო, რომ იგი ხალიუმ და ტიუფიკჩევმა დასჭრესო. გრეკოვმა სთქვა: სტამბულოვს მუდამ ეშინოდა, სახლს დინამიტით ამიფეთქებენო. სასამართლოში წაკითხულ იქმნა სტამბულოვის წერილი, რომელიც მხოლოდ მის სიკვდილის შემდეგ გახსნეს. წერილში სტამბულოვი ბრალსა სდებს მაშინდელს მინისტრებს და ამბობს: ტიუფიკჩევთან ერთად შეთქმულობა აქვთ ჩემ წინააღმდეგ და ჩემი მოკვლა უნდათო.

### გუშინდელი დეპეშა

**პეტერბურგი.** დაჭრილის პ. ვასილევსკის მდგომარეობა ისევ ისეთია—საშიში.

**მოსკოვი.** 10 დეკემბერს მოჰკლეს მწვალებელთა უფროსი ქალი აქსინია კირილოვისა და მოიპარეს 30,000 მანათი.

**ბუდა-პეშტი.** რეშიცის მადნებში აფეთქების დროს ყოფილა 128 კაცი; ამათში მშვიდობიანად ამოსულა 34, მოკლულია 34, მძიმედ დაშავებულია 12, სუბუქად არის დაშავებული 12 და 34 კაციც ჯერ არსად სჩანს.

**შვიცი.** აქაურ ელექტრონის ქარხანაში აფეთქება მოხდა, სამი მუშა მოკვდა, რამდენიმე მძიმედ დაშავდა.

# ახალი ამბავი

*** **შემწეობა სათავად-აზნაურო ბანკისა.** გუშინ, 12 დეკემბერს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკმა გაუგზავნა შარშანდელ წყალდიდობისაგან დაზარალებულთა დასახმარებელ დროებითი კომიტეტის თავმჯდომარეს კნ. მარიამ ალექსანდრეს ასულს შარვაშიძისას 1000 მანათი.

ეს ფული ხსენებულ საქმისთვის გადასდო ბანკის ზედამხედველმა კომიტეტმა, თანხმად ბანკის საზოგადო კრების გარდაწყვეტილებისა, რომელიც წელს, მაისში დაადგინეს.

ფული დაურიგდება წყალდიდობით დაზარალებულ ტფილისის გუბერნიის მცხოვრებთ.

*** **საკვირველი ამბავი.** ტფილისის საფერშლო სასწავლებლის მოწაფე გიორგი წიკლაური უეცრად დამუნჯდა. ეს ერთი კვირაა სრულებით ვეღარ ლაპარაკობს. წიკლაური გასინჯეს ექიმებმა, მაგრამ ვერც ერთმა ვერ გამოიკვლია დამუნჯების მიზეზი.

*** **კოჯორის რკინის გზის თაობაზე.** ამიერ კავკასიის რკინის გზის ინჟენერი ნ. პ. ისაევი ამ დღეებში პეტერბურგს მიდის და გზათა სამინისტროს ნებართვა უნდა სთხოვოს ტფილისსა და კოჯორს შუა ვიწრო ლიანდაგიანის რკინის გზის გამართვისა.

*** **ისევ პურზე და მეფურნეების უწესოებაზე.** „არ გათეთრდება ყორანი, რაც გინდა ხეხო ქვიშითაო“... გაზეთებმა რაც უნდათ, ისა სწერონ და მეფურნეები მაინც თავისას არ მოიშლიან. პურს, თუმცა ნახევარ კაპეიკიც კი მოუმატეს, მაგრამ ვაგზალის მხრისკენ მეფურნეები, რაც წასულ თვეებში პურს აცხობდნენ, იმასვე აცხობენ დღესაც. რა გნებავთ, რომ ამათ გამომცხვარ პურში არ ერიოს: ქვია, ბუზი, ტომრის ნაგლეჯები, ბეწვები და სხვა მრავალი არა მოსანელებელი ნივთები. მართალია ზოგს არაფერი არ ეზიზღება, მაგრამ იმაზე კი რაღა ვსთქვათ, რომ პური სრულებით ცომია და რაღაც ზღმარტლების მსგავსი ურევია შიგა. ეგ ზღმარტლების მაგვარი რაღაცა სწორედ ძველის დარჩენილის პურისა უნდა იყოს, ხელ-ახლად დამბალი და მეორეთ ჩაზელილი. ნუ-თუ ყურადღება არ უნდა მიექცეს ასეთს თავგასულობას მეფურნეებისას. ჩვენ ვგონებთ, სხვას რომ არაფერს ათხოვონ ყური, ამას ორდღეში ერთხელ მაინც უნდა შინჯავდნენ აუცილებლად. არც აქაური მეწვრიმალეები გახლავან წესიერი ვაჭრენი, ყველაფერს თავის ქეიფზედა ჰყიდიან ყალბად. ნაყიდს შინ რომ მიიტან და ასწონ, სამ გირვანქას სულ უკანასკნელი ნახევარი გირვანქა დააკლდება. გიკვირთ, ამდენი რათ უნდა აკლდესო, მაგრამ სასწორი უცებ რომ გადიკვრის, იღებს, ვითომდა თავიც დააკვრევინაო. აბა, კაი კაცი ხარ და გააჩერებინებ სასწორს, ერთ აყალ-მაყალს გაგიმართავს. ამათთვის ხომ პურის ნიხრი არ არსებობს; როგორაც ჰნებავთ, ისე ჰყიდიან, თუმცა თითონკი ფუთს სამ შაურ ნაკლებ ყიდულობენ. ესეც ჩვენი მეფურნეების თავ-გასულობა. თუ მაზანდა არ გახლავთ, მაშ რა მიზეზია, რომ თავ-პირს აბდღვნიან ქალაქს გამგეობას,

---

### ვაჭრების საყურადღებოდ.

**დემიდოვები**

**და**

**მადნეულობის წარმოება რუსეთში.**

(შემდეგი *)

პირველ დემიდოვების დროს რუსეთში არსებობდა ჯოხი, თოკი, მათრახი და მუშტი. არავითარი შებრალება არ იყო იმისთვის, ვისაც-კი დამნაშავედ დაინახავდნენ. ამ დროში აღზრდილნი და გარეშემო მხოლოდ ამის დამნახველნი დემიდოვებიც მიყვებოდნენ სწორედ თავის დროების ცხოვრებას. იმათ სისხლხორცში ჰქონდათ გამჯდარი მაშინდელი ცხოვრების წესები.

ნიკიტამ წერა კითხვაც არ იცოდა. მის მაგიერ, თუ საჭირო იქნებოდა, ხელს აწერდნენ მისი ნოქრები ან და მისი შვილი აკინფი, რომელსაც ესწავლა ხუცური წერა-კითხვა ტულის სკოლაში. ეს ამბავი გასაკვირველი არ არის: მაშინ არა თუ უბრალო მჭედლებმა, არამედ ბევრმა სასახლის პირებმა და უმთავრეს სასამართლოს მოხელეებმაც არ იცოდნენ წერა-კითხვა. თუმცა ასეთი გაუნათლებელნი იყვნენ პირველი დემიდოვები, მაგრამ სამაგიეროდ გამჭრიახე გონება ჰქონდათ, უყვარდათ მუშაობა და ტეხნიკურ ოსტატობაში განსწავლულ იყვნენ.

თუ რა რიგათ გაიცნო პეტრე ხელმწიფემ ნიკიტა დემიდოვი—ამაზედ შემდეგ ამბავს სწერენ: ერთხელ პეტრეს სასახლის პირი შაფიროვი ტულაში იყო და საზღვარ გარეთ საუკეთესო ოსტატის გაკეთებული დამბაჩა მოეშალა... ურჩიეს, რომ ნიკიტასთვინ მიეცა მოსაწყობად. ნიკიტამ ის დამბაჩაც მოაწყო და მეორეც, სრულებით იმის მსგავსი, გააკეთა და უფეშქაშა შაფიროვს... ამან პეტრეს მოახსენა ეს ამბავი.

1696 წელს პეტრე მივიდა ტულაში და მოაგონდა ნიკიტა დემიდოვის ამბავი... დაიბარა... ნიკიტა ძალიან მოსული ტანის იყო და კარგი შესახედავი. პეტრეს ძალიან მოეწონა...

— ძალიან მეომარი გამოვა ამისაგანო, ბრძანა.

ნიკიტა მუხლებზე დაეცა და სთხოვა, რომ ნუ გამიყვან მეომრად და სხვა რაც გნებავს მომთხოვეო. მაშინ პეტრემ უჩვენა საზღვარ გარედ გაკეთებული სამხარი შუბი და უბრძანა: თუ ამისთანას გამიკეთებ სამას ცალს, გაპატიებო.

ნიკიტამ შეასრულა ეს ბრძანება, მიიღო პეტრესაგან მადლობა და ჯილდო.

ამის შემდეგ ნიკიტამ გაგზავნა მოსკოვში ექვსი თვის საშჭედურში გაკეთებული თოფი. პეტრეს ძალიან მოეწონა ეს თოფები. იკითხა ფასი და ძალიან გაოცდა: თითოს ნიკიტა აფასებდა ცხრა-ცხრა აბაზათ, მაშინ როდესაც ამგვარსავე თოფებში საზღვარ გარეთ აძლევდნენ 12 და 15 მანათს.

— „გააფართოვე შენი ქარხანა და მე შენ ესე არ დაგტოვებო—უბრძანა პეტრემ, აჩუქა მადლობის ნიშნად და 100 მანათი აჩუქა.

ცოტა ხნის შემდეგ ტულაში მოვიდა მეფის ბრძანება, რომ ნიკიტა დემიდოვს მიეცეს 12 დესეტინა მადნეული ადგილი ტულის ახლოს—დემიდოვმაც ააშენა დიდი ქარხანა—დაუწყო თოფებს კეთება. პეტრემ კიდევ დაასაჩუქრა—მისცა დიდი ტყე საკუთრათ იმას, მხოლოდ აუკრძალა ამ ტყეში მუხის და კოპიტის ხეების ჭრა, რადგან ეს ხეები გემებისათვის სჭიროდა.

ნიკიტას საქმე დიდდებოდა, ტყე ბევრი სჭირდებოდა და აღარ იყო იგი ახლოს—ამასთან არც იქაური მადანი იყო საკმაოთ და ამ გარემოებამ ის მიაყვანა იმისთანა საქმეს, რომლის შემწეობით მთელს ქვეყანაში სახელიც გაითქვა და ურიცხვი ქონებაც შეიძინა.

ეს საქმე იყო ურალის მთის მადნების დამუშავება.. ურალის ქედი საზღვრავს რუსეთს ციმბირიდამ და სავსეა არა თუ რკინის და სხვა მადნეულობით, არამედ ოქროთი და პლატინით. ყოველივე ურალის განძი თითქმის ხელ უხლებელი იყო იმ დროს... ეს ქედი მოელოდა იმისთანა არწივ კაცებს როგორიც იყვნენ დემიდოვები.. ურალის ქედს იქით იყო ციმბირის თვალ-უწვდენელი მინდვრები, ტყეები, რომელთაც პატრონი არ ჰყავდა. მთელი ქვეყანა ცარიელი იყო და მკვდარი.. მოვიდნენ დემიდოვები და მხარეც გაცოცხლდა. იქ, სადაც მარტო არწივნი დანავარდობდნენ, ახლა ადუღდა ისეთი ცხოვრება, როგორიც შესაძლებელია დიდს ქალაქებში. გაშენდა ქარხნები, სახლები, სასახლეები. გაკეთდა გზები, ხიდები; დაესახლა ხალხი, და ყველა ამის პატრონი გახლდა მხოლოდ ერთი კაცი—ნიკიტა დემიდოვი.

(შემდეგი იქმნება)

---

*) იხ. „ცნობის ფურცელი“ № 41

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფქვილმა აიწია, ვზარალობთ და ნიხრს მოუმატეთო. ფიცი გვწამს და ბოლო-კი გვაკვირვებს.

***** სიკვდილი სიღარიბისაგან.** სამშაბათს, 10 დეკემბერს, ტფილისში იპოვნეს გულ-წასული კაცი, რომელსაც ძველი ფარაჯა ეცვა. წაიყვანეს მიხეილის სამკურნალოში და კაცი იქ ისე გარდაიცვალა, რომ გონს არ მოსულა. ფარაჯის ჯიბეში იპოვნეს ერთი წერილი, რომლიდგანაც აღმოჩნდა, რომ განსვენებული უწინ აქციზის მოხელედ ყოფილა, გვარად კლუშინი. წერილი თავის ნათესავებთან მიუწერია, რომლებსაც შესჩივის თავის გაჭირვებას და სწერს: ერთს აქაურს საქველმოქმედო საზოგადოებას მივმართე შემწეობისთვის, მაგრამ უარი მითხრესო. საცოდავი კლუშინი ისე გაჭირვებული ყოფილა, რომ საცვალიც კი არა სცმია ტანზედაო.

***** უეცარი სიკვდილი.** 11 დეკემბერს, პოლიციის მეშვიდე განყოფილებაში (ავლაბარში), ჩითახოვის ვიწრო ქუჩაზე, ჩითახოვის შენობაში, ნაშუადღევის 2 საათზედ, უეცრად გარდაიცვალა ტფილისის მოქალაქე ხეჩო წოვიანოვი. მიცვალებული გაგზავნეს საანატომიო თეატრში გასასინჯათ.

***** სამაგალითო განკარგულება.** ამ დღეებში გარდაიცვალა ბაქოში იქაურ ნავთის მექარხნეთა ამხანაგობის მდივანი ი. გულინაზაროვი, რომელსაც დიდი სახლობა დარჩა და არავითარი ქონება. ამხანაგობის კომიტეტმა გადასწყვიტა მიეცეს განსვენებულის სახლობას 8,000 მანეთი.

ჩვენს დროში ეს სწორედ რომ იშვიათი ზრუნვაა უფროსისა თავის მოსამსახურის ოჯახობისათვის.

***** ავჭალის მაღის წყალი.** შარშანდელ წყალდიდობისაგან შეშინებული ქალაქის გამგეობა ეხლა დიდს მეცადინეობაშია, გაამაგროს ავჭალის შენობები და არხები, რომ წყალმა ველარ წაახდინოს ქალაქის ნამუშავარი. ამ დღეებში ქალაქის ინჟენერმა ძერჟანოვსკიმ წარუდგინა გამგეობას ახალი გეგმა იმ სამუშაოსი, რომელიც საჭიროა შესრულდეს გაზაფხულამდე. გამგეობამ შეჰკრიბა კომისია ხმოსან ტეხნიკებისა, რომელთაც 11 ნოემბერს განიხილეს გამგეობასთან ერთად და დაადგინეს, რომ თუმცა ხსენებული სამუშაონი დროებითია, რადგან ქვითკირის კედლების მაგიერ უნდა ჩაიყაროს ქვა და ფიჩხიო, მაგრამ ვიდრე ქალაქი შესძლებს ქვითკირის კედლის გატარებას სამი ვერსის მანძილზედ, რაიცა ეღირება თითქმის 200,000 მანეთი, მეტი გზა არ არის ესდროებითნი სიმაგრენი გაკეთდეს, როგორც ანგარიშიდამ სჩანს ამ სიმაგრეთა გაკეთებას მოუნდება 1000 ოთხკუთხე საჟენამდე ფიჩხი და 50,000 ათასი მარგილი, შესაფერი რაოდენობა ქვისა და მიწისა. გამგეობა ამ დღეებში შეუდგება საქმეს, რომლისთვისაც ეხლა ავჭალაში მრავალი იჯარადარი ეზიდება საჭირო მასალას.

***** ქალაქის შემოსავალი და გასავალი.** პირველ დეკემბრამდე ამ წლისა შემოსავალი ქალაქისა იყო 1.021,218 მანათი, ხოლო ხარჯი ამავ ხნის განმავლობაში ჰქონდა 962,032 მანათი.

***** კიდევ ავეტ ზახაროვზე.** რუსეთის გაზეთებში კიდევ შემდეგი ცნობები ამოვიკითხეთ. ამ ბოლო დროს ავეტ ზახაროვი ხშირად დადიოდა სახელმწიფო რკინის გზათა სამმართველოში და ადგილს თხოულობდა. ბოლოს ზახაროვს დაუნიშნეს 900 მანათი ჯამაგირი, მაგრამ მან ეს არ იკმარა და უკეთესს ადგილს თხოულობდა. იმ დღეს, როცა მკვლელობა მოხდა, ზახაროვი ორჯელ იყო სამმართველოში დილით და მერე მესამეთ მივიდა ნაშუადღევის ოთხ საათზედ, როდესაც უფროსი უნდა გამოსულიყო კანცელარიიდგან. დადგა კიბეზედ და ელოდდა უფროსს. ერთმა მოხელემ აქ დგომა აუკრძალა, მაგრამ ზახაროვმა უპასუხა: უფროსმა მითხრა, აქ დაუცადე მმართველსო. ამ დროს გამოვიდა კანცელარიიდგან რკინის გზათა მმართველობის თავმჯდომარე ვასილევსკი, და ზახაროვმა რევოლვერი ესროლა. ვასილევსკი იქვე დაეცა და ზახაროვმაც, როგორც მკითხველებმა უკვე იციან, იქვე თავი მოიკლა. ზახაროვს ჯიბეში უპოვნეს პატარა ხანჯალი.

***** ხუნაგი.** პოლიციის მეორე განყოფილებაში, ძველი არსენალის ქუჩაზე, გოლუშკინის სახლში № 16 არტილერიის მოხელე, ნადვორნი სოვეტნიკის დავით ხარაძის ქალი ნინო, ათის წლისა, ხუნაგით ავათ გახდა. ავათმყოფს ექიმი მამინოვი სწამლობს. ხარაძის სახლში დეზინფექცია მოახდინეს.

***** სახადი.** ოსმალეთიდგან ტფილისში გადმოსახლებულ სომეხთა შორის სახადი გაჩნდა. 10 დეკემბერს მიხეილის სამკურნალოში მიიყვანეს სამი ავადმყოფი; ამათში ერთი უკვე გარდაიცვალა.

***** ზუგდიდი.** ზუგდიდის მცხოვრებლებმა, სადაც ჯერ არს, თხოვნა მისცეს, ჩვენშიაც დაწესებულ იქმნას შემოკლებული წესი ქალაქის თვით მართველობისაო.

***** საქარის სამაგალითო ბაღვენახის** გამგემ აგრონომმა სტაროსელსკიმ მიჰმართა კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს და სთხოვა, ნება მომეცით საქარის ბაღ-ვენახისთვის გავმართო დიდი აუზი ვენახის მოსარწყავადო; ამ საქმისათვის საჭიროა სულ 1,170 მანათი („ნ. ობ.“).

***** ქართული გამოცემა წიგნისა: „კრწანისის ბრძოლის 100-წლის თავის გამო“.** ამ სათაურით დაიბეჭდა წიგნაკი გაზეთ „კავკაზის“ თანამშრომელის ილ. ხონელისა. წიგნაკში მოთავსებულია ილ. ხონელის ფელეტონები, რომელიც იბეჭდებოდა შარშან ხსენებულ გაზეთში და რომლებშიაც მოთხრობილია სამწუხარო ამბავი აღა-მაჰმად-ხანის მიერ ტფილისის აოხრებისა. ერთმა ცნობილმა საპატიო კაცმა მიჰმართა ილ. ხონელს და სთხოვა: წიგნი ქართულს ენაზედ გადმოსთარგმნეთ და მე ჩემის ხარჯით დავბეჭდავ 10,000 ცალად ხალხში მუქთად დასარიგებლადაო. რამდენადაც გვახსოვს, ეს პირველი მაგალითია კავკასიაში, რომ ასეთი ბედი სწვეოდეს ჩვენებურ ავტორის ნაწარმოებს („კავკაზი“).

***** ბათომი.** ორშაბათს, 16 დეკემბერს, ბათომში დაიწყებს საქმეების გარჩევას ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესსია.

— 9 დეკემბერს აქ მოვიდა ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორი ბ-ნი ჟუკოვსკი.

— ამ ბოლოს დროს ბათომში იმდენი გემი მოვიდა, რომ ნავთ-სადგურში აღარ ეტევა და ბევრი საზღვარ გარეთიდგან მოსული გემები რეიდზედა სდგანან, ნავთ სადგურის შესავალში.

***** ქ. გორი. ყალბი ფული.** ჩვენშიაც იჩინა თავი ყალბმა ფულებმა. ამას წინედ, სულ ერთი კვირა იქმნება, ს. იგუეთის მამასახლისის თანაშემწემ სოლომონა ჩადუნელმა შეიტანა ხაზინაში მოკრეფილი სოფელში ფოსტის ფული. მაგრამ მოხელეთ აღმოაჩინეს, რომ ხუთი თითო მანათიანი ყალბი იყო. ჩადუნელი აღარ გამოუშვეს იქიდგან, სანამდის გამომძიებელი მოვაო. მოვიდა გამომძიებელი და აღმოაჩინა, რომ თითონ მამასახლისმაც კი არ იცოდა, როგორ და ვინ შეატყუა ეს ფული. საკვირველი ის არის, რომ ხუთივე მანათიანს ერთი და იგივე ასოები აზის „ა. ე“ და ერთი და იგივე ნომერი 546542, კასირის დაუქინოვის გრიფი ესვა და გამოსული იყო 1894 წელსა. გამოართვეს ეს ფული და გაგზავნეს უმაღლეს მთავრობასთან გასასინჯავად.

***** იქიდანვე. ქალის უკავალეროთ უგარგისობა.** ამას წინედ აქ ერთი სასაცილო, მაგრამ სახიფათო ამბავი მოხდა. ერთი ქალბატონი, ქ. გორის მცხოვრები, დილის ათ საათზედ ჩამჯდარიყო ერთს პატარა ეტლში და თვითონვე მართავდა ცხენსა. რალაცაზედ ცხენი დაფრთხა და გაიტაცა ეტლი ქალბატონიანათ დიდ ქუჩაში; აქ უეცრივ მშვენიერი მეეტლე გადმოვარდა და რბილ ტალახში კი გაიშხლართა. ცხენი კი გარბის ეტლიანად და უკან კი არ იყურება, რომ იმისი ქალბატონი ტლაპოში სცურავს... როგორც იყო ქალი წამოდგა. კიდევ მადლობა ღმერთს, რომ გადარჩა და არაფერი არა სტკენია. ცხენი ძლივს-ძლივობით დაიჭირეს, დაუჭრეს მოსართავები და ეტლი კი ხელით შინ ჩაარახრახეს.

ეს ერთი კვირაა ჩვენში კარგი დარები დაიჭირა. დღე მშვენიერია, მაგრამ ცოტა ღამე კი სიცივე სუსხავს და იკბინება.

***** აზნ. გლ. ერ. კობახიძეს** შეუწირავს ხეთის სასოფლო სკოლისათვის გაზეთი „ცნობის ფურცელი“ პირველ იანვრამდე, რისთვისაც იქაური მასწავლებელი თეიმურაზ ჭიჭინაძე მადლობას უძღვნის.

ბ-ნ ივანე გუნიავას ყვირილის წიგნთ-საცავის და სამკითხველოს სასარგებლოდ შეუწირავს ოთხი მანათი.

***** ჩიბუხის ცეცხლისაგან დამწვარი კაცი.** სოფელ სვენეთში მცხოვრებელი გლეხი გიორგი სისუაშვილი ცოტა ჭკუაზე ნაკლებად იყო. ამ წინაზედ ქალაქ გორსა ყოფილა. (სვენეთი სულ სამი-ოთხ ვერსზეა გორიდგან) იქიდგან რომ წამოსულა, სოფელ ბერბუკზე ამოუვლია. ბერბუკში ჩიბუხის მოწევა მოსდომებია, გამოუტანინებია ცეცხლი და მოუკიდებია ჩიბუხისათვის. უფიქრია, სანამ სვენეთს მივაღწევ, კიდევ დამჭირდება ცეცხლიო და ჯიბეში ჩაუდვია ნაკვერცხალი. ცეცხლი, რასაკვირველია, ჯიბეს მოჰკიდებია და სანამ სულ არ მოსდებია ცეცხლი, იმ უბედურს ველარა გაუგია-რა. მაშინ კი დაუწყია ტანისამოსის გლეჯა და ყვირილი. გორიდგანვე მოდენილიყო უკან სვენელივე გლეხი ზაქარა ზერეკიძე, მოსწეოდა და რის ვაივაგლახით ძლივს გაექრო ცეცხლი და ნახევრად ცეცხლისგან გარუჯული და გატრუსული ცოცხალ-მკვდარი კაცი სვენეთში ამოეყვანა. საცოდავმა სამი დღე კიდევ იცოცხლა და დიდია ტანჯვის შემდეგ დალია სული.

---

***** შვეიცარიას ახალი პრეზიდენტი.** შვეიცარიის რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეულ იქმნა ექიმი დეიჰერი.

***** მაცეოს სიკვდილი.** ამ ჟამად გაზეთების სალაპარაკო გენერალ მაცეოს სიკვდილია. ზოგი ამბობს, ეს ამბავი ტყუილი უნდა იყვეს, რადგანაც ასეთი ხმა წინადაც გავრცელებულა და მერე ტყუილი გამომ-

დგარათ. ისიც საკვირველია, რომ მაცეოს გვამი არსადა სჩანს. ჯერ-ჯერობით შემდეგს ამბავსა სწერენ მაცეოს სიკვდილზედ. ბრძოლის დაწყებამდე მაცეომ თავისი ჯარი სამ ღნად გაყო. ბრძოლის დაწყებისთანავე მაცეო მოჰკლეს და გომეცი მძიმედ დასჭრეს. მაცეოს ჯარმა უკან დაიწია, როდესაც ხმა გავრცელდა, მაცეო მოკლესო, ინსურგენტები იმ ადგილისაკენ წავიდნენ, სადაც მაცეოს გვამი ეგულებოდათ, რათა წაეღოთ იგი და დაესაფლავებინათ. მოახერხეს თუ არა ესა, ჯერ არავინ იცის. კომენდანტი სირუხედა ამბობს: ერთმა ესპანელმა დაინახა ორი დაჭრილი კაცი, ერთი თეთრი დ ერთი მულატი. ესპანელმა ამ მულატის ხელზედ მეჭედი ნახა და უნდა წაეძრო. დაჭრილმა ჰკითხა: „შენ ესპანელი ხარ?“ მაშინ ესპანელმა მოჰკლა დაჭრილი. პორუჩიკს ახას ეს ორი გვამი უნდა წაეღო და ცხენებს გამოაბა კუდზედ, მაგრამ ცხენები ძლიერ დაიღალნენ და გვამები გზაში დასტოვეს.

მაცეოს მთელს ოჯახს ძლიერა ხძულდა ესპანელები. 1868 წელს კუნძულ ყუბაზედ აჯანყების დროს, ესპანელებმა დასწვეს მათი სახლ-კარი, მიაბეს ახალგაზდა ქალები ხეებზედ დ უსინიდისოდ შეულახეს მათი პატიოსნება. მაშინ მამა-მაცეომ თავისის ათის შვილით მოჰკიდა ხელი ხმალს და ომი გამოუცხადა ესპანიელებს. ეხლანდელი მაცეო გენერალი სულ უმცროსი შვილია. დანარჩენმა მისმა ცხრა ძმამ თავისი სიცოცხლე მამულს შესწირეს და ყველანი ესპანელებთან ბრძოლაში დაიხოცნენ.

## პოლიციის მატიანე

11 დეკემბერს, პოლიციის მესამე განყოფილებაში ტფილისის მოქალაქე დარჩო მელქუმოვი, სოფ. ცხინვალში, გორის მაზრაში მცხოვრები, გამოუდგა სოფელ მუხრანში (დუშეთის მაზრაში) მცხოვრებ გლეხს ივანე ალგუზიძეს, რომელზედაც ეჭვი შეჰქონდა, ექვს თუმნად ღირებული ნივთები მომპარაო, დაეწია ალექსანდრეს ბაღთან და რომ დაიჭირა, მელქუმოვმა ალგუზიძეს ქვა დაჰკრა თავში და მძიმედ დასჭრა. დაჭრილი მაშინვე გაგზავნეს ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში, საცა მორიგი ექიმის შემოწმებით ჭრილობა საშიში აღმოაჩნდა. დამნაშავე პოლიციამ შეიპყრო, ოქმი შეადგინა და სამსჯავროს გადასცა.

## რკინის გზის ამბები.

სად. ქსანი: ამ თვის რვას, როდესაც ხალხის მატარებელი № 3 გაჩერდა სადგურ ქსანზედ, ამ დროს ერთი ქალი გადმოიყვანეს ვაგონიდამ, რომელსაც აბრალებდენ ტფილისში სახლის გაქურდვას და გაპარვას. ამ დროს ვაგონიდამ ერთმა ურიამ დაიძახა: ნივთებს რატომ არ გადიღებთო! ეს ურიაც ქურდის ამხანაგათ ჩასთვალეს და ორივე გაილალეს ერთ სახლისკენ, სადაც ურიასათვის კარგად ეცემათ.

ურიას ცემაზე ქალმა საშინელი წივილ-კივილი მორთო, ასე რომ, ქალის კივილი სადგურის უფროსს შემოესმა, რომელმაც მეისრეების დახმარებით ცოცხალ-მკვდარი ურია სადგურზე გამოათრია. დაუწყეს გამოკითხვა ვინაობისა. ქალი აღმოჩნდა მოსამსახურე ყაზიბეგისა, და ურია სურამელი ვაჭარი. ეს ამბავი სადგურის უფროსის დახმარებით, დეპეშით ჟანდარმების პოლკოვნიკს აცნობეს ტფილისში და ტფილისის რკინის გზის ექიმი მოიწვიეს. იმედია, ჟანდარმების პოლკოვნიკი ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევს ამ ამბავს. მეორე დღეს, როდესაც ჟანდარმის სახლიდგან გამოიტანეს წართმეული ნივთები, ქალის ნივთებიდგან აღმოჩნდა დაკარგული სხვა-და-სხვა ტანისამოსი, ოც-და-ხუთმეტ მანათისა, ურიასაც 45 მანათი დაჰკარგოდა.

## თეატრის მატიანე.

**სომხური წარმოდგენა.** დღეს, 12 დეკემბერს, სათავად-აზნაურო თეატრში დანიშნულია სომხური წარმოდგენა, სომეხ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ. წარმოდგენილ იქმნება ვილდენბრუჰის პიესა „ტოროლა“.

## სასამართლოს მატიანე.

დაბახანაში მომხდარი უბედურება.

გუშინ-წინ დასრულდა საოლქო სასამართლოში გარჩევა ეგრედ წოდებულ „დაბახანაში მომხდარ უბედურობის“ საქმე. გაზეთებმა მეტად გააზვიადეს ეს საქმე, მაგრამ იგი მეტად ჩვეულებრივი გამოდგა. სასამართლომ გაამართლა არხიტექტორი გ. ტ. ბილოი, დამნაშავედ იცნო სომხიევი და არარატოვი, რომელთაც ვითარცა მოიჯარადრეთ თავ. დ. სუმბათაშვილის სახლისა, არხიტექტორთა დაუკითხავათ დაუწყიათ შენობის შეკეთება, და უცოდინარობის გამო სახლი ჩანგრეულა და ქვეშ 11 კაცი მოუქცევია, რომლებიდგან 4 მომკვდარა და 7 მძიმედ დაშავებულა. სომხიევს და არარატოვს ორ-ორი თვე ციხე გადაუწყვიტეს, მაგრამ მანიფესტის ძალით ორთავეს ეს სასჯელიც ეპატიათ.

9 დეკემბერს ბათუმის მომრიგებელმა მოსამართლემ გაარჩია საქმე ვასილ ნიკოლაძისა, რომელიც ბრალსა სდებდა ბათუმის საკრედიტო საზოგადოების თავმჯდომარეს ბ. შპოლიანსკის და იმავე საზოგადოების დირექტორს ი. პარუნბეგოვს—ცილი დამწამესო. მომრიგებელმა მოსამართლემ ცილის წამება ვერაფერში აღმოაჩინა და საქმე მოსპო. („ჩერნ. ვესტ.“).

годъ изданія 85-й. **ОТКРЫТА ПОДПИСКА** годъ изданія 85-й.

1812. Большая ежедневная политическая и литературная газета 1897.
(безъ предварительной цензуры)

# СЫНЪ ОТЕЧЕСТВА

Печатается ежедневно въ двухъ изданіхъ.
**Первое изданіе выходитъ ежедневно листами большого формата**
съ еженедѣльными иллюстрированными приложеніями.

Въ ежедневныхъ нумерахъ газеты сообщается о всѣхъ выдающихся событіяхъ въ придворной, духовной и военной сферахъ, а также всѣ важныя новости дня столичной, внутренней и иностранной жизни, по свѣдѣніямъ спеціальныхъ корреспондентовъ газеты и телеграммъ, **одновременно съ другими дорогими изданіями**, а потому газета **„Сынъ Отечества“** въ первомъ (большомъ) изданіи
ВПОЛНѢ ЗАМѢНЯЕТЪ ДОРОГОЕ ЕЖЕДНЕВНОЕ ИЗДАНІЕ.

Кромѣ ежедневныхъ нумеровъ газеты, годовые подписчики получатъ:
1) 52 Нумера воскресныхъ приложеній, **печатаемыхъ на веленевой глазированной бумагѣ, въ видѣ еженедѣльнаго иллюстрированнаго журнала, гдѣ помѣщаются романы, повѣсти, разсказы, стихотворенія и болѣе 300 художественныхъ рисунковъ.**
2) ДВѢНАДЦАТЬ НУМЕРОВЪ „моды и рукодѣлія“, замѣняющіе „модный журналъ“.
3) СТѢННОЙ КАЛЕНДАРЬ разсылается, какъ прибавленіе при первомъ нумерѣ газеты.

## Новое безплатное приложеніе.

Въ числѣ 52-хъ безплатныхъ приложеній всѣ годовые подписчики газеты „Сынъ Отечества“ (первое изданіе), въ 1897 г., получатъ:
**Третій томъ избранныхъ литературныхъ произведеній извѣстнаго писателя**
**А. МИХАЙЛОВА**—«ГРѢХИ ПРОШЛАГО».
Большой романъ, не вошедшій въ „Полное собраніе сочиненій.“

Подписная цѣна на первое изданіе (съ доставкою):
На годъ 8 р.—На полгода 4 р.—На три мѣсяца 2 р.—На одинъ мѣс. 1 р.
Разсрочка взносовъ допускается, но по соглашенію съ Главною конторою.

## ВТОРОЕ ИЗДАНІЕ ГАЗЕТЫ „СЫНЪ ОТЕЧЕСТВА“

**ВТОРОЕ ИЗДАНІЕ газеты „Сынъ Отечества“ ВЫХОДИТЪ ЕЖЕДНЕВНО. Въ нумерахъ газеты помѣщаются всѣ выдающіяся новости, а также придворныя, административныя, военныя и научныя извѣстія и телеграммы—**
Одновременно со всѣми другими дорогими изданіями.
**4 Каждый воскресный нумеръ въ 1897 году будетъ выходить въ размѣрѣ отъ 12 до 16 страницъ, отпечатанныхъ на глазированной бумагѣ, съ художественно выполненными портретами Высочайшихъ особъ, современныхъ (русскихъ и иностранныхъ) государственныхъ и общественныхъ дѣятелей, а также иллюстраціями торжествъ и событій, сосредоточивающихъ на себѣ, въ извѣстный моментъ, особое вниманіе русскаго общества. 2**

Подписная цѣна на ВТОРОЕ ИЗДАНІЕ (съ доставкою и пересылкою по Россіи):
На годъ 4 рубля. || На полгода 2 рубля. || На три мѣсяца 1 рубль.

**Годовые подписчики газеты „Сынъ Отечества“, въ 1897 году, могутъ получить новое роскошное изданіе, необходимое для каждой семьи, а именно:**
**НОВЫЙ БОЛЬШОЙ ХУДОЖЕСТВЕННЫЙ АЛЬБОМЪ—**
„Библія въ картинахъ знаменитаго художника г. Дорэ“
(200 **КАРТИНЪ СЪ ПОЯСНИТЕЛЬНЫМЪ ТЕКСТОМЪ И ВЪ ИЗЯЩНОЙ ОБЕРТКѢ**).

Цѣна альбома для подписчиковъ (съ доставкою) ОДИНЪ руб. 50 коп. Желающіе пріобрѣсти, вмѣсто премій, художественныя изданія (портреты Ихъ Императорскихъ Величествъ, „Аѳонъ“, „Бурлаки на Волгѣ“, „Жертва Волги“ и другіе за прежніе года), уплачиваютъ за каждый экземпляръ съ доставкою—ОДИНЪ РУБЛЬ.
Безъ доставки—75 коп.
**ГЛАВНАЯ КОНТОРА: СПБ., НЕВСКІЙ ПР., У АНИЧКИНА МОСТА, Д. № 68—40.**
Иллюстрированное объявленіе и списокъ художественныхъ изданій высылаются безплатно.

6—2

ევროპიულ ტანისამოსის მკერავი

# ონიმისე დავითის ძე სალაყაია

ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა, მაღაზია № 24.
ვღებულობ ვაჟკაცების ყოველგვარ ტანისამოსთა კერვას, შედარებით ვებთანხ იაფად. საქმეს ვასრულებ წმინდად და დროზედ.

**Портной О. Д. Салакая**
Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинск. Дворянства, № 24.